პროექტზე მუშაობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მოსწავლეებს და მათ მშობლებს გავაცნობ პროექტის თემას და მიზნებს, რათა შეექმნათ სრულყოფილი წარმოდგენა პროექტებით სწავლების აუცილებლობაზე.შემდეგ მოსწავლეებს ზოგადი, თემატური და შინაარსობრივი შეკითხვებით შევუქმნი საფუძველს პროექტზე მუშაობის დასაწყებად. მოვისმენ მოსწავლეთა პასუხებს, მოვახდენ დაკვირვებას კითხვა-პასუხის მსვლელობისას, რაც დამეხმარება მოცემულ ეტაპზე მოსწავლეთა ცოდნის განსაზღვრაში კვლევის მიმართულების მისაცემად.

კლასის შემადგენლობა დაიყოფა ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი დაბალანსდება მოსწავლეთა საჭიროებებისდა მიხედვით, რათა ყველამ შეძლოს შესაბამისი დატვირთვა და საკუთარი მონაცემების რეალიზება მუშაობის პროცესში.

გავწერთ მათ ვალდებულებებს, მივუთითებ საძიებო მასალისთვის წყაროებს, პრეზენტაციისთვის გამოსაყენებელ ინფორმაციულ-ტაქნოლოგიურ საშუალებებს, შევიმუშავებთ შეფასების რუბრიკას, მიზნებს, შედეგებს, ანუ განვსაზღვრავთ სტანდარტით გათვალისწინებულ პროექტით მისაღწევ კონკრეტულ ენობრივ სტრუქტურულ მახასიათებლებს. დავადგენთ დროის ლიმიტს, სლაიდების(სიტყვების და სურათების) რაოდენობას, შევახსენებ საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმს.

შემდგომ დღეებში სამუშაო პროგრესის მონიტორინგისთვის გავეცნობი თითოეული ჯგუფის ჩანაწერებს დამატებითი დახმარების უზრუნველსაყოფად საჭიროებისდა შემთხვევაში. ვაწარმოებ ჩანიშვნებს თითოეული მოსწავლის მუშაობის შესახებ.

პრეზენტაციამდე მოვაწყობ მოსწავლეთა კონფერენციას თითოელ ჯგუფთან საპროექტო წინადადებების დასახვეწად. მოახდენენ თანატოლთა უკუკავშირს.

პროექტის წარგენა მოხდება უცხო ენის მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის დასწრებით. მოსწავლეები მოისმენენ ჯგუფების მიერ წარდგენილ პრეზენტაციებს და კითხვარის საშუალებით კონკრეტული ჯგუფები შექმნიან ახალ პრეზენტაციებს რომ გააკეთომ ანალიზი და სინთეზი პროექტის მთავარი თემის(კითხვების). მასწავლებლებს დაურგდებათ შემუავებული შეფასების რუბრიკა და შეავსებენ კითხვარს მოსწავლეთა შესაფასებლად.